ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსიპ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

# National Scientific Library

ქ. თბილისი მ. ალექსიძის ქ. 1–4
0171 M. Aleksidze str. 1-4 , Tbilisi
http://www.sciencelib.ge

ჩვენი ბიბლიოთეკის არსებობა 69 წელს ითვლის. ამ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ჩვენმა ბიბლიოთეკამ უდიდესი წვლილი შეიტანა სხვადასხვა მეცნიერების დარგების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბიბლიოთეკაში ინახება უამრავი საინტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შემადგენლობაში აგრეთვე შედის გ.მიქელაძის სახელობის სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკა და ი.გრიშაშვილის სახ. ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც დიდმა პოეტმა ანდერძით გადმოსცა ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას, ამ მუზეუმს ქართულ კულტურაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია, იგი მნიშვნელოვანია იმითაც რომ აქ დაცულია უნიკალური ფონდი.

ამჟამად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკაა, რომლის წიგნების ფონდი 3,5 მილიონს აღწევს, აქედან 600 ათასზე მეტი უცხოური გამოცემაა, 2 მილიონ პერიოდულ გამოცემას, უნივერსალური პროფილის სამეცნიერო, ძირითადად ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგების ლიტერატურას. რარიტეტისა და კოლექციების ფონდი მოიცავს 22635 ბეჭდურ ერთეულს. 20 მილიონი ერთეული პატენტებია (საბჭოთა, ამერიკული, ევროპული და სხვა ქვეყნების საკმაოდ სრული ფონდი), სტანდარტები, სამეცნიერო ტექნიკური შრომები, კატალოგები, ბიზნესის სხვადასხვა სფეროს კატალოგები.

სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკამ ანდერძით ან შესყიდვით მიიღო ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების – ექვთიმე თაყაიშვილის, ვ. ბერიძის, ს. ნარიკაშვილის, ვ. ვორონინის, ა. ბაიკოვის, მ. პოლიევქტოვის, გ. ლომთათიძის, ნ. ლორთქიფანიძის, ძმები ი. და ვ. ასლანიშვილებისა და სხვთა პირადი ბიბლიოთეკები.

## ბიბლიოთეკა დღეს

### სამკითხველო დარბაზები

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გააჩნია ნათელი და მოხერხებული სამკითხველო დარბაზები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, ახალი ქსეროქსით, მიკროფირების საკითხავი აპარატურით, უსინათლოთა მომსახურების საშუალებით, საპროექციო და აუდიო–ვიდეო აპარატურით და სხვა.

მკითხველისათვის ხელმისაწვდომია მისთვის სასურველი ინფორმაციის ქსერო ასლის გაკეთება შენობიდან გაუსვლელად ან ინფორმაციის მაგნიტურ მატარებელზე (CD, Floppy, USB) ჩაწერა.

ბიბლიოთეკაში ამოქმედდა ცხელი ხაზი, ცხელი ხაზის საშუალებით მკითხველს შეუძლია მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია.

ტელ.: აბონემენტი 212768

საპატენტო მომსახურების აბონემენტი 989536

ბიბლიოთეკაში არსებული კვალიფიციური მთარგმნელთა განყოფილების დახმარებით მკითხველს საშუალება ეძლევა მისთვის საჭირო ინფორმაცია თარგმნოს გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენაზე.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება მკითხველს სთავაზობს შემდეგ მოსახურებას:

- ბაზებიდან სამეცნიერო – პოპულარული სტატიები, დისერტაციები და სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომი;
- პატენტები; სტანდარტები; საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები;
- გრანტები; კოლაბორატორები;
- ინფორმაცია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შესახებ;
- ელექტრონული წიგნები;
- ხელმისაწვდომ ფასად სამეცნიერო ტექნიკური სტატიების, პუბლიკაციების და ნაშრომების მიღება საზღვარგარეთის წამყვანი ბიბლიოთეკებიდან და ა. შ

### ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტი

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მოქმედებს ბშა-ს განყოფილება. ამ განყოფილების მთავარი ფუნქცია მდგომარეობს შემდეგში, მკითხველის მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ ლიტერატურით, რომელიც ბიბლიოთეკის ფონდში არ აღმოჩნდება.

ბშა-ს განყოფილება თანამშრომლობს საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებთან. ეს მომსახურება ჩვენი მკითხველებისთვის არის უფასო.

### საპატენტო მომსახურება

ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკის საპატენტო მომსახურებაში წარმოებს: გამოგონებაზე, სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშზე და სასაქონლო ნიმუშზე განაცხადის გაფორმება.

ასევე საპატენტო ძიება და მკითხველის მიერ დასმულ საპატენტო საკითხებზე კონსულტაციები.

### საინფორმაციო– ბიბლიოგრაფიული მომსახურება

საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მომსახურება მკითხველს სთავაზობს ოპერატიულ მომსახურებას ბიბლიოთეკის საცნობო–საძიებო სისტემის გამოყენებით. ეს არის საცნობარო ბიბლიოგრაფიული განყოფილების წიგნადი ფონდი და თემატური კარტოთეკები, ცნობარები, ინფორმაცია საკურსოების, სამეცნიერო ნაშრომების ლიტერატურის სიის შედგენასა და გაფორმებაზე;

შესაძლოა თქვენ ფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკა მხოლოდ წიგნების შესანახი ადგილია – დღეს თანამედროვე სამყაროში მას გაცილებით მეტი შესაძლებლობები და უნიკალური როლი აქვს: იდეების გაცვლა, ცოდნის მიღება, შემოქმედება, სწრაფი კომუნიკაცია, თუ გნებავთ უბრალოდ დასვენება...

ბიბლიოთეკა იზიარებს ეროვნულ პოლიტიკასა და სტრატეგიას განათლების ყველა ფორმის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხრივ;

პატივს სცემს მომხმარებელს და დროულად მისაღები ფორმით აწვდის ხარისხიან ინფორმაციას მოთხოვნილებების შესაბამისად;

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საინფორმაციო მომსახურების ხარისხის გაზრდას ინფორმაციის შერჩევის, ორგანიზების, სინთეზისა და შეფასების გზით, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას;

აღიარებს მკითხველთა განსხვავებულობას, ინფორმაციის განსხვავებულ მოთხოვნებს, წყაროებსა და მიწოდების განსხვავებულ ფორმებს,

აღიარებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დემოკრატიულ პრინციპებს და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით ცდილობს არ შექმნას ფიზიკური, ტექნოლოგიური, ფინანსური, ცენზორული თუ სხვა დაბრკოლება,

აფასებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ცოდნას, გამოცდილებას, ნიჭსა და უნარს და ხელს უწყობს მათს თვითგანვითარებას,

აღიარებს დემოკრატიულ პრინციპებს მართვასა და თანამშრომლობაში. მიზნების მისაღწევად და ფასეულობების შესანარჩუნებლად ქმნის და ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს.

n4/834

საკონტაქტო ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დირექტორი: | 363413 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი: | 212731 |
| მკითხველთა მომსახურების განყოფილება: | 212768 |

| | |
|---|---|
| Director : | 363413 |
| Email: igar@hotmail.com | |
| Public Relations: | 212731 |
| Reader Services: | 212768 |

ბიბლიოთეკა მუშაობს
ორშ – პარასკ. 10:00 – 18:00
შაბათ-კვირა 11:00-15:00
Opening Hours:
Mon – Fri, 10:00 – 18:00
Saturday-sunday 11:00 – 15:00

PX 4576/1.

